# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა კვირა-დღეების შემდეგაც.— შაბათი, 1 აპრილი 1900 წ. № 1088

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.

ტელეფონი № 372.



საუკეთესოდ მოწყობილი

**სტამბა**

წიგნების გამომც. ქართველთა ამხ—ბისა

იღებს ყოველგვარ

**სასტამბო საქმეებს**

სტამბა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლში

**სახალხო სეირნობა**

**საქველმოქმედო ბაზრითურთ**

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ განზრახულია გაიმართოს მაისში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება ქნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—21)

ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ა. ს. როინაშვილის მიერ ნაანდერძევი

**ფოტოგრაფია**

გადატანილ იქმნა ერევნის მოედანზედ, ხარაზოვის სახლში.

(ნ. 0—39)


## რედაქციისაგან

ვაცხადებთ «მოამბის» ხელისმომწერთა საყურადღებოდ, რომ ვისაც ჟურნალის ნომერი არ მიუვა, მან განცხადებასთან ერთად უნდა გამოგვიგზავნოს ფოსტის კანტორის მოწმობა, რომ ნომერი არ მიუღია. ეს მოწმობა რედაქციისთვის საჭიროა, რათა ფოსტა-ტელეგრაფის მმართველობას მოსთხოვოს დაკარგული ნომრები. წინაარმდეგ შემთხვევაში რედაქცია ვერ დააკმაყოფილებს ხელისმომწერთ და ხელმეორედ ვერ გაუგზავნის ნომრებს.

## მთავრობის განკარგულებანი

### უმაღლესი ბრძანება სამოქალაქო უწყებას:

ჯებრაილს (განჯის გუბერნიის) მაზრის უფროსს კოლეჟ. სოვ. თავ. ანდრონიკაშვილს და სენაკის მაზრის ექიმს კოლეჟ. სოვ. კახიანს ებოძათ სტატსკი სოვეტნიკობა.

დუშეთის მაზრის მომრიგებელ შუამავალს კოლეჟ. ასსესორს თავ. ერისთავს, გორის მაზრის სოფლის ექიმს კოლეჟ. ასს. ცისკარაშვილს, ზუგდიდის მაზრის სოფლის ექიმს კოლეჟ. ასს. გელოვანს, ნაქალაქევის ნოქაულს კოლ. ასს. ახვლედიანს, აბაშისას—კოლ. ასს. თოფურიძეს ებოძათ ნადვორნი სოვეტნიკობა.

ტფილის—ბორჩალოს მომრიგებელ შუამავალს ტიტულ. სოვ. ჩოლოყაშვილს, ართვინის ოლქის ექიმს კოლ. სოვ. გოცირიძეს, ბაქოს საქალაქო ექიმს კოლ. სოვ. ოლიაშვილს, კრწოს (თიონეთის მაზრა) ნოქაულს კოლ. სოვ. თავ. პარათაშვილს ებოძათ კოლეჟსკი ასსესორობა.

ზუგდიდის მაზრის სამმართველოს კანცელარიის საქმის-მწარმოებელს კოლეჟ. სეკრეტარს ქედიას ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

შორაპნის მაზრის მეორე განყოფ. მომრიგებელ შუამავალს გუბერნ. სეკრეტ. თავ. დადეშქელიანს, სენაკის სამაზრო მმართველობის მოხელეს გუბ. სეკრეტ. შევარდენაძეს და სიღნაღის სამაზრო მმართველობის მდივანს გუბ. სეკრეტ. ბაქრაძეს ებოძათ კოლეჟსკი სეკრეტრობა.

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის მოხელეს კოლეჟ. რეგისტრ. ქელბაქიანს, სენაკის სამაზრო მმართველობის მოხელეს კოლეჟ. რეგისტრ. გაბუნიას, ახალ-ბაიაზეთის მაზრის მეორე განყოფ. ნოქაულს კოლ. რეგისტრ. დავითაიას ებოძათ გუბერნსკი სეკრეტრობა.

ქუთაისის საგუბერნიო მმართველობის მოხელეს ჩიქოვანს, ზუგდიდის მაზრის უმცროს ფერშალს კეკემაძეს, ტფილისის სამაზრო მმართველობის მოხელეს ესაძეს, ბორჩალოს—ფანიაშვილს და სიღნაღის—მოსულიშვილს ებოძათ კოლეჟსკი რეგისტრატორობა.

დამტკიცებულ იქმნენ ტიტულიარნი სოვეტნიკებად: მაზრის ექიმი ლეჩხუმისა—ჯინორიძე, სოფლის ექიმები: სენაკის მაზრისა ხოფერია, ბათუმის ოლქისა ეშაკიძე, რაჭის მაზრისა—ნადირაძე, ახალციხისა—ბარამიშვილი და თიონეთისა—ჯავახიშვილი.

## ახალი ამბავი

✦ „კავკაზს“ ატყობინებენ, რომ ხელმწიფე იმპერატორს ახალი მოწყალება მიუღია ახალქალაქის მაზრაში მიწისძვრისაგან დაზარალებულებზე: 29 იანვარს კეთილ უნებებია, რომ სამსახურიდან დათხოვნილ იქმნან ჯარისკაცნი, დაზარალებულ სოფელთა მცხოვრებნი, 77-ის თენგინის პოლკისა—36 კაცი, 78-ის ნავაგინისა—54 კაცი, 263-ის სარეზერვო ახალ-ბაიაზეთისა—2 კაცი და მსროლელთა მე-4 ბატალიონის—1 კაცი. დაბრუნებულთ მცხოვრებნი ალტაცებით მიეგებნენ და სთხოვეს სათანადო მმართველობას, რომ მათ მაგიერ უქვეშევრდომილესი მადლობა გადაეხადოს ხელმწიფე იმპერატორს.

✦ თანახმად საგუბერნიო მმართველობის დადგენილებისა, ტფილისის გუბერნიის ქალაქებს შეეწერა სახელმწიფო გარდასახადი 134,000 მანეთი, რომელიც განაწილებულია მამულთა რაოდენობისა და დაფასების მიხედვით. ქ. ტფილისს შეაწერეს 120,714 მან., გორს—2314 მან., თელავს—2162 მან., სიღნაღს—2392 მან., დუშეთს—498 მან., ახალციხეს—2774 მ., ახალქალაქს—1286 მან. და კოჯორს—1860 მან., ხარჯის ამ ნაირად გასანაწილებლად საგუბერნიო მმართველობას მასალად ჰქონია ქალაქების დამფასებელ კომისიათა მიერ შედგენილი დაფასების ოქმები. ვინ არ იცის, თუ როგორის დაუდევრობით და მიდგომ-მოდგომით აფასებენ ხოლმე მამულებს ზოგიერთ ქალაქების კომისიის წევრნი. ამ მასალიდან სჩანს, რომ ტფილისში 9,681 მამულია, ამათში მხოლოდ 8957 მამულია, რომელსაც ხარჯი დაედება; ტფილისის ყველა მამულები დაფასებულია 58,095,440 მან.; წმინდა შემოსავალი ნაანგარიშევია 4,309,070 მანეთი. საშუალო შემოსავალი ყოველ მამულზე—464 მან.; თითო მამულზე საშუალოდ დადებულია 13 მ. 47½ კ. გარდასახადი.

გორის მამულები, რიცხვით 1,497, დაფასებულია 1,399,491 მან., თელავისა—2061 მამული, 811,733 მანეთად. სიღნაღისა—2,869 მამული—1,212,510 მან.; დუშეთისა 474 მამული—381,834 მან., ახალციხისა 3144 მამული დაფასებული 2,283,778 მანეთად, ახალქალაქისა—927 მამული,—906,210 მან. და კოჯრისა—93 მამული,—666,255 მან. საშუალოდ თვითოეულ ხარჯ-დადებულ მამულზე მოდის ტფილისში—13 მ. 47½ კ., გორში—1 მ. 55 კ., თელავში 1 მ. 58 კ., სიღნაღში—1 მ. 20 კ., დუშეთში—1 მან. 74 კაპ., ახალციხეში—ერთი მან. 43 კ., ახალქალაქში—1 მ. 66½ კ. და კოჯორში—20 მ. 1 კ.

ყველა დასახელებულ ქალაქების მამულები დაფასებულია 66 მილიონად და შემოსავალი აღნიშნულია ორმოც და რვა მილიონ მანეთად.

✦ გაზ. „როსსია“-ს უკანასკნელ ნომერში (№ 330-ში) დასტამბულია ვრცელი წერილი ალ. ნოვიკოვისა, რომელიც ამტკიცებს, რომ აუცილებლად საჭიროა ტფილისში უნივერსიტეტი და პოლიტეხნიკუმი დაარსდესო.

✦ სავაჭრო და სამრეწველო დეპარტამენტს ამ დღეებში დაუბეჭდია ანგარიში რუსეთის იმპერიაში **ვაჭრობა-მრეწველობის მდგომარეობის შესახებ.** ამ ანგარიშიდან სჩანს, რომ უკანასკნელ ხანში რუსეთში საგრძნობლად გაძლიერებულა ვაჭრობა და მრეწველობა; მაგალითად, იმ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელნიც იხდიან პროცენტებს თავისის შემოსავლიდან, ყოფილა 1885 წელს—1008, 1898 წელს კი—1616, რომელთაც ჰქონიათ 179 მილიონი შემოსავალი. იმ სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა რიცხვი, რომელთაც უნდა აიღონ სავაჭრო მოწმობები, 1885 წელს ყოფილა—294.614, 1898 წელს კი 390.074; ყველა მათ 1898 წელს საქმეში მოუბრუნებიათ 11 მილიარდი მანეთი და წმინდა შემოსავალი დარჩენიათ 493 მილიონი მან.; შუათანა ანგარიშით ყველაზე მეტი შემოსავალი ჰქონია სადგილ-მამულო ბანკებს, სამრეწველო საქმეებიდან კი—რეზინის მანუფაქტურას.

✦ ქუთაისიდან გვატყობინებენ, რომ აქაური პოლიცმეისტერი ბ. **ლისოვსკი** ინიშნება ზუგდიდის მაზრის უფროსად, ხოლო ლისოვსკის ალაგას ქიათურის ბოქაული ბ. **არდიშვილი** გადმოჰყავთო.

✦ დღეს, 1 აპრილს, საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა მორიგ კრებაზე პ. ი. ლინდე წაიკითხავს მოხსენებას **რაჭის მაზრის მევენახეობისა და მეღვინეობის შესახებ.** შემდეგ გაიმართება საუბარი ბოსტანის მოვლა-გაუმჯობესობის შესახებ. კრებას არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

✦ ხვალ, 2 აპრილს, საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილების სადგომში, ა. ე. კლაუსენი წაიკითხავს მეხუთე **საჯარო** ლექციას **ხეხილის მოშენების შესახებ.**

✦ სოხუმიდან გვწერენ: „28 მარტს საბჭოს კრებაზე მოხდა **არჩევნები ხმოსნების თავმჯდომარისა** ნაცვლად ამავე თანამდებობაზე არჩეულის და საგუბერნიო მთავრობის მიერ დაუმტკიცებელის ბ-ნის ლევიცკისა. კენჭი უყარეს ხმოსნებს ბ.ბ. ანთიმოზ ჯულელს და ლუკა თოფურიძეს. ჯულელს ამოუვიდა 23 თეთრი და 5 შავი კენჭი, ხოლო ლუკა თოფურიძეს 20 შავი და 9 თეთრი. ამ რიგათ თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა ბ-ნი ანთ. ჯულელი.

✦ კავკასიის უმაღლეს მმართველობას შუამდგომლობა აღუძრავს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ **ქალაქ ქუთაისს შეეწყალობა** ალმოეჩინოს სამის წლით 1901—1904 წლამდე საერობო თანხიდან 13,000 მანეთი წელიწადში ჯარის-კაცთათვის სადგომების მოპოვნა-შენახვისათვის.

✦ ოფიციალურის ცნობებით, ამ ჟამად **საქონლის ჭირი** ტფილისის გუბერნიაში თითქმის მოისპო: არის კიდევ ეს სენი სიღნაღის მაზრის ერთ სოფელში.

✦ 25 მარტს, სადგურ მიხაილოვზე დ. მიხაილოვის სასწავლებელთა მოწაფეთათვის გამართულ იქმნა **ხის დარგვის დღესასწაული.**

✦ სიღნაღის მაზრის სოფ. ანაგაში 26 მარტს შემდეგი **უბედურება** მომხდარა: ამ სოფლის 40 კაცი სოფელში მოდიოდნენ ქიაურის ტყიდან. როდესაც ყველანი გადვიდნენ ბორანზე რამდენიმე ურმით და შესცურეს ალაზანში, უეცრად ბორანი მოწყდა თოკს და ჩაიძირა. ყველანი გადავარდნენ წყალში და ხუთი კაცი დაიხრჩო.

✦ სოხუმიდან გვწერენ: 27 მარტს მორიგი **კრება** იყო **ქალაქის საბჭოსა.** სხვათა შორის, სჯა-ბაასი ჰქონდათ ქალაქის თავისუფალ მიწების გასყიდვის შესახებ. ბ-ნმა ზელიონიმ, ეკატერინოდარის ოლქის სასამართლოს ყოფილმა წევრმა და აწ სოხუმში დაბინავებულმა, ამ ორის თვის წინად საბჭოსა სთხოვა, ქალაქის აღმოსავლეთ მხარეს, სამხედრო ლაზარეთის გვერდით თავისუფალი მიწაა ერთი სამოსახლო, მინდა შევიძინო, მაგრამ ვაჭრობაში გარევა მეზარება და ამიტომ გთხოვთ ფასი გადამიწყვიტოთ და უვაჭროდ მომყიდოთო. საბჭომ დაადგინა—ხსენებული ადგილი ვაჭრობით გაიყიდოს და ვაჭრობაც 4 მანეთიდან დაიწყოს ერთ ოთხკუთხს საჟენზე. ბ-ნს ზელიონის ქუთაისის გუბერნატორისათვის უთხოვნია, მე სოხუმისათვის გამოსადეგი კაცი ვიქნები, იურისტი ვარ, მინდა აქ ფეხი მოვიკიდო და დავსახლკარდე, მაგრამ, როგორც მე მინდოდა, იმ პირობით ქალაქმა მიწა არ შემაძენინაო, ამიტომ კარგს ინებებთ, თუ უბრძანებთ საბჭოს—ხელ-ახლა განიხილოს ეს საქმე და როგორმე უვაჭროდ მომყიდოს ჩემი ამორჩეული მიწაო. თანახმად გუბერნატორის მიწერილობისა, ეს კითხვა მეორეჯერ გაირჩა, მაგრამ საბჭომ მეორეჯერაც კენჭის ყრით 21 ხმის უმეტესობით წინაალმდეგ 7 ხმისა დაადგინა: ზელიონისაგან ნათხოვნი სამოსახლო მიწა საჯარო ვაჭრობით გაიყიდოს და ვაჭრობაც 4 მანეთიდან დაიწყოს თითოეულ ოთხკუთხ საჟენზეო.

წარსულ 14 თებერვალს საბჭომ მოისმინა წინადადება ქუთაისის გუბერნატორისა. თანახმად ამ წინადადებისა ქალაქს უნდა მიეზომა $12\frac{1}{2}$ დღიური მიწა სოხუმის სამრევლო სკოლისათვის. საბჭოს კრებაზე სასულიერო უწყების წარმომადგენელმა მღვდელმა გოლუბკოვმა სთქვა, რომ ეპისკოპოსმა არსენიმ მომანდო გაუწყოთ, რომ ეს მიწა სკოლას არა სჭირდება და შეგიძლიანთ ამ საგნის შესახებ სჯაბაასი არც-კი გექმნესთო. თანახმად ამ განცხადებისა, საბჭომ დაადგინა არ მიეცეს სოხუმის სამრევლო სკოლას ხსენებული $12\frac{1}{2}$ დღიური მიწაო. ხოლო 27 მარტს საბჭოს კვლავ შოხსენდა — მიეცეს სოხუმის სამრევლო სკოლას $12\frac{1}{2}$ დღიური მიწა, რადგან ბავშვებმა მეურნეობა უნდა ისწავლონო. სასულიერო უწყების წარმომადგენელი მღ. გოლუბკოვი კვლავ წამოდგა და განაცხადა, ჩვენ არ შეგვიძლიან მეურნეობა ვასწავლოთ ბავშვებს და ამიტომ ეს $12\frac{1}{2}$ დღიური მიწა მეტ ბარგად გაგვიხდებაო. საბჭომ კვლავ დაადგინა: არ მიეცეს სამრევლო სკოლას ეს მიწა, თანახმად მღ. გოლუბკოვის განცხადებისაო.

ამავე კრებაზე მოხსენდა საბჭოს სარჩიელი სოხუმის საკრებულო ტაძრის წინამძღვარის დეკანოზის დავ. მაჭავარიანისა. ტაძარში მგალობელთა გუნდი არა გვყავს, ამ გუნდის შესადგენად ფული გვინდა და კარგი იქნება, თუ ყოველწლიურად გუნდის შესანახად სამოც თუმანს მოგვცემს ქალაქიო. ამ კითხვას კენჭი უყარეს. 15 ხმით წინაალმდეგ 13 ხმისა საბჭომ დაადგინა: ეძლიოს სოხუმის საკრებულო ტაძარს მგალობელთა გუნდის შესანახავად ყოველ-წლიურად სამოც-სამოცი თუმანი.

✦ აღდგომის დღესასწაულების მოახლოვების გამო ცნება დართულია, რომ ხვალ, კვირას, მთელი დღე იქმნას გაღებული მაღაზიები, დუქნები და სხვა სავაჭრო დაწესებულებანი

✦ 28 მარტს ტფილისში **პოლიციას შეუპყრია** კატორღიდან გამოქცეული ტფილისის მცხოვრები იაგორ სააკოვი, რომელსაც დაბრალდა აგუნაკოვის ქალის მოკვლა. სააკოვი 12 წლის წინად იყო გაგზავნილი ციმბირს და უკვე კარგა ხანია სცხოვრობდა თურმე ტფილისში.

# დეპეშები

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

**30 მარტი**

**ლონდონი.** „ტაიმს“-ს ატყობინებენ ლორენცო-მარკეზიდან, რომ ავსტრიელი ეილერი, რომელიც ითვლება რანდის მადნების პოლიციის კაპიტნად, მხნედ შეუდგა მოქმედებას, რათა დაიშალა მადნების აფეთქება. როგორც კი გაიგო რომ მოვიდნენო ლაღმების ასაფეთქებლად, მაშინვე დაატუსაღა მოსულ პარტიის უფროსი. სახელმწიფო მადნების ინჟენერმა მუნნიკმა პროტესტი განაცხადა და სთქვა, რომ მოსულნი მის ბრძანებას ასრულებენო. ეილერმა მოსთხოვა მაშინ წერილობითი ბრძანება, რომელიც მაშინვე მისცა მუშებს მუნნიკმა; ამის შემდეგ მუშებს ნება მიეცათ მუშაობისა. ტრანსვაალის მთავრობის წინაშე პროტესტის განცხადების შემდეგ კი, მუნნიკის ბრძანება გაუქმებულ იქმნა და ეილერმა თავისი თავი გამოაცხადა მადნების უფროს ზედამხედველად.

„დეილი ნიუს“-ს ატყობინებენ, რომ დღეს კიდევ ჩასვეს გემებში 400 ტყვე-ბური წმ. ელენეს კუნძულზე გასაგზავნად.

„ტაიმს“-ს აცნობებენ ბლუმფონტეინიდან, რომ ბრიტანელთ რაზმი ვეპერენთან 400 კაცისაგან შესდგება.

„სტანდარტ“-ს დეპეშით აცნობებენ დურბანიდან, რომ მთელი ბრიგადა წავიდა ნატალიდან, რათა შეუერთდეს რობერტსის ჯარებს. დღეს გემებში ჩასმენ კიდევ ორ პოლკს. ბრიგადის უფროსად დაინიშნა გენ. გენტერი.

**დურბანი.** აქ მოსულ ნამდვილ ცნობებიდან სჩანს, რომ იოჰანესბურგის მადნების უმეტეს ნაწილს უკვე გაუკეთეს ლაღმები; ისინი აფეთქებულ იქნებიან, თუ ბურები საბოლოოდ დამარცხებულ იქმნენ.

აქ მოვიდა გენერალი გაუსტერი ლედი-სმიტიდან ურიცხვის ჯარით; როდის გაიგზავნებიან ეს ჯარები, არავინ იცის ჯერ.

**კარნარვანი.** (კაპის ახალშენში) პოლკოვ. პასონი მოვიდა აქ თავის შტაბით. ამბობენ კაპის ახალშენის ჩრდილოეთ-დასავლეთის მხარეში სრულიად მოსპობილ იქმნა. კენგარდტში და უინგტონში კიდევ დარჩნენ ინგლისელნი. ამბობენ, რომ მეამბოხეთა წინამძღოლნი ტყვედ არიან წაყვანილნიო.

**ალივალნორტი.** კიტჩენერი მოვიდა აქ ნაშუადღევს ჯარების დასათვალიერებლად და გაუგზავნა გამამხნევებელი წერილი ვეპერნის ჯარებს; წერილში ის იმედს აცხადებს, რომ მალე შეიცვლება ვეპერნის ჯარის მდგომარეობა. სალამოს კიტჩენერმა თავი დაანება ქალაქს.

ორშაბათს, სალამოს, ვეპერენთან ბრძოლის დროს, ბურებს ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს. დღეს არტილერიამ კვლავ ასტეხა ბრძოლა. ინგლისელებმა დაიცვეს თავიანთი პოზიციები. ბურების მცირე რაზმება მოდიან მდ. ორანჟეს სამხრეთიდან.

**პრაგა.** კოპანაიში დაინგრა 41 სახლი. შიში აქვთ კიდევ 10 სახლის დანგრევისა.

**ლონდონი.** სალამოს გაზეთებს დეპეშით ატყობინებენ ელანდსლააგტედან: „გუშინ კვლავ მოხდა ბრძოლა. ბურები განუწყვეტლივ იბრძვიან; რამდენიმე იერიში მიიტანეს ბრიტანელთა პოზიციებზე. ბურების დიდ ზარბაზნებმაც მიიღეს მონაწილეობა ბრძოლაში. ბრიტანელი არტილერია მხნედ მოქმედობს. ბურებმა განიზრახეს გზა მოუჭრან ინგლისელთ მდ. სედნეისაკენ და ლედი-სმიტისაკენ; მაგრამ ორჯელ უკუგდებულ იქმნენ.

ბურების ბანაკიდან გლენკოში დეპეშით იტყობინებიან: „28 მარტს, განთიადისას, ბურების ჯარები გაემართნენ მთებისაკენ ინგლისელთა ბანაკის ახლო და აუტეხეს ინგლისელთ სროლა, რომელმაც მთელი დღე გასტანა. ბრიტანელთ, ალბათ, ბევრი დაუხოცეს. ზოგიერთი ყუმბარა გასკდა ჯარების შუაგულში. ბურებმა დაჰკარგეს მხოლოდ სამი ჯორი და ორი ცხენი“.

31 მარტი

**მოსკოვი** 30 მარტს იდღესასწაულეს 25 წლის მოღვაწეობა სამეცნიერო აკადემიის საპატიო წევრის მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორის დ. ნ. ანუჩინისა.

ფინანსთა სამინისტრომ მისცა საკომერციო სწავლის გამავრცელებელ საზოგადოებას 10,000 მან. სუბსიდია და შემდეგ ორი წლის განმავლობაშიაც მისცემს ყოველ წლივ ამდენსავე.

**ლონდონი.** „რეიტერის სააგ.“ ცნობებით, სამხრეთ-აფრიკის რესპუბლიკებმა ოფიციალურად აცნობა პორტუგალიას, რომ ბრიტანიის ჯარის გაშვება პორტუგალიის სამფლობელოზე, ბეირაზე, უდრის მტრულ მოქმედებას. აქ დანამდვილებით ჰგონიათ, რომ ამ წინადადებათა შემდეგ რესპუბლიკები მიჰმართავენ სასტიკ ზომებს და რომ ინგლისი, თუ პორტუგალიაში შეესევიან ბურები, მაშინვე დაეხმარება პორტუგილიელთ. ბურების წინადადებაზე პორტუგალია უპასუხებს, რომ იგი იქცევა თანახმად ინგლისთან შეკრულ პირობისა.

**დურბანი.** რეიცის განკარგულებისა თანახმად ბრიტანიისა და ამერიკის ყველა ქვეშევრდომთ ორი კვირის განმავლობაში უნდა მიატოვონ ეს მხარე.

დელაგოას ნავთ-სადგურში გერმანიის გემით მოსულ სამოც-და ათ მგზავრთა შორის 25-ს, თანახმად ინგლისის კონსულის თხოვნისა, არ მისცეს პასპორტები ტრანსვაალში წასასვლელად, რადგან მათ უპოვეს სასროლი სურსათი.

**ალივალნორტი.** ვეპერენი მამაცურად იგერებს მტერს; ზარბაზნების სროლა კვლავ დაიწყეს დღეს დილით, მაგრამ ძლიერ კი არა. ბურებმა კიდევ სამი ზარბაზანი მიიტანეს პოზიციებზე, მაგრამ სასროლი სურსათი აკლიათ.

**პარიზი.** სენატმა და დეპუტატთა პალატამ გადასდო კრებები 22 მაისამდე,

**მოსკოვი,** 30 მარტი. წუხელ სადგურ ბურგისა და ვერებიეს შუა, ნიკოლოოზის რკინის გზაზედ, საქონლის მატარებელი, № 76, დაეჯახა მუშათა მატარებელს. დაიმსხვრა რვა ვაგონი საქონლის მატარებლისა და დაზიანდა 15. რელსები ამ ადგილს მთლად აიყარა. ბურგის და ვერებიეს შუა გზა ექვსი საათის განმაელობაში გაუწმენდელი იყო. შემდეგ კი მიმოსვლა დაიწყო.

დღეს შეიპყრეს კატორღიდან გამოქცეული კიევის გუბერნიის გლეხი ფოტი ვასილის-ძე კონოვჩენკო, რომელმაც მოსკოვში მანჟურიის რკინის გზის გამგის ინჟინერს ბატანოვის სახელით ბევრი მოიჯარადრე მოატყუა და პირობებით შეეკვრა სხვა-და-სხვა იჯარების მოსაცემად.

დღეს დაიწყო მუშაობა ნიკოლაევის რკინის გზის მოსართავად. მთელი პლატფორმა მორთული იქნება ეროვნული ფერადებით და მრავალი დროშებით.

**როსტოვი-დონზე.** უკანასკნელი კვირის განმავლობაში, მიუხედავად იმისა, რომ აღკრძალული თევზის ჭერა, აქაურ ბაზარში მოიტანეს სხვა-და სხვა ახალი თევზი 600,000 ფუთი; 1 ფუთის ფასი 2 მ. 10 კ.-დამ 3 მ. 50 კ.

**ლედი-სმიტი.** აქ არ მოელიან, რომ გუშინდელი ბურების მოქმედებას ელანდსლააგტთან შემდეგშიაც განმეორდეს. ინგლისელები ჰფლობელობენ სედნეის ხიდს. ჰგონიათ, რომ ბურების ძალა შეიკრიბა გორაკზე, რომელიც მდებარეობს ინგლისის პოზიციის პირდაპირ. დღეს იყო რამდენიმე შეტაკება. ბურების პოზიცია, როგორც გუშინ შენიშნული იქმნა, 15 მილის სიგრძეზე გორების პირას.

**აკკრა.** ხმა გავრცელდა, ვითომც გუბერნატორი სერ-ფრედერიკ გოჟდსონი მტერს ჩავარდნია ხელში, მაგრამ დანამდვილებით ჯერ არაფერი იციან ამის შესახებ. ადგილობრივ ჯარის 800 კაცი შეძლება გამოიყენონ საქმეში. ვოლონტიერებმა ერთხმივ განაცხადეს სურვილი ებრძოლონ აჯანყებულთ.

ერთი ევროპიელი მისსიონერი იწერება აშანტელთა ქვეყნიდან, რომ იქ მოუკლავთ ხუთი ინგლისელი ოფიცერი და 40 ხაუსი.

**ბერლინი.** მინისტრმა გარდასწყვიტა მოსთხოვოს ქალაქის წარმომადგენლებს 50,000 მარკა ქალაქის მოსართავად იმპერატორი ფრანც იოსების მობძანების დროს.

**პარიზი.** პალატა. დილის კრებაზედ დასრულდა ბიუჯეტს განხილვა, სენატისაგან მხოლოდ ზოგი-ერთი ცვლილებებთ. ბიუჯეტი დაუბრუნდება სენატსვე.

**ბლუმფონტეინი.** სადგურ კარრიდგან იტყობინებიან, რომ მტერი ამაგრებს პოზიციებს ბრანდფორტიდან აღმოსავლეთით, რკინის გზის პირად. იმავე დროს მზვერავს ატყობინებენ, რომ მტერს დიდი ჯარი უყენია ვატერვალდ რიფტსა და წყლის მილთან.

დრ. რედ. ალ. ჟუჟუნია

# გამოსადეგი ცნობანი

## საკალენდრო ცნობები

**შაბათი,** 1 აპრილი; ახალი სტილით 14 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 274 დღე. მთვარის მე-16 დღე. დიდი-მარხვის ორმოცდა-პირველი დღე. ხსენება ღირსისა მარიამ ეგვიპტელისა; ღირსისა ევთიმესი და მაკარისა.

**კვირა,** 2 მარტი; ახალი სტილით 15 აპრილი. წლის დასრულებამდე დარჩა 273 დღე. მთვარის მე-17 დღე. დიდი მარხვისა. ორმოც და მეორე დღე. ხსენება ღირსისა ტიტესი და პოლიკარპისა.

შემდეგი უქმე: 6 აპრილს—დიდი ხუთშაბათი.

## ტფილისის ბაზრები:

| გაიყიდა მეიდნებზე: | | | კოკზადზე, | |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი საუკ. ფუთი. | მ. | კ. | მ. | კ. |
| | 1 | 1 | 30 | 120 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | — | 88 | —85 |
| სიმინდი . . . . . | 1 | — | 70 | —— |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20 | —— |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10 | —— |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60 | —— |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60 | —— |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50 | —— |
| თივა . . . . . . | 1 | — | 60 | —— |
| ბზე . . . . . . | 1 | — | 28 | —— |

შუშა რცხილისა 1 სრული საყ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 5-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. 80 კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ღორი ბადგილობრივი ჯიშისა 8.-დამ მ. 50 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 30 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი,—კამეჩი—მ.-მდე, კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მან., შესაბმელი— მ.

## რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. | |
|---|---|---|---|
| № 0—9 | მ. 25 კ. | № 4—7 | » 25 » |
| № 1—8 | » 50 » | № 5—7 | » — » |
| № 2—8 | » — » | № 6—6 | » 75 » |
| № 3—7 | » 50 » | № 7—6 | » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10% მაკ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

## სასტუმროები

**ქალაქის სახელმწიფო სასტუმრო,** მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში

—12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო.** მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. -რვე 230 კაზ. ღარიბთათვის რჩევა-, ჩაა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა,** ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხაროფუხისა,** კორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო,** ელიზაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა. **კადმყოფებს** უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. **25** ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) კორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

**სახალხო მატარებელი № 1** ბაქოდან ტფილისში გამოდის 4 ს. 15 წ. დღ.; ტფილისში მოდის 8 ს. 40 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის 9 ს. 10 წ. დილ. ბათუმში მიდის 8 ს. 32 წ. საღ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის **12** ს. 20 წ., ტფილისში მოდი საღამოს 6 ს. 28 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 7 ს. 32 წუთ., ბათუმში მიდის დილის 8 ს. 12 წ.

**სახალხო მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 9 ს. 15 წუთ. დილ., ტფილისში მოდის საღამოს 8 ს. 35 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღ. 9 ს. 23 წ., ბაქოში მიდის 1 ს. 04 წ. დღის.

**საფოსტო მატარებელი № 4** ბათუმიდან თბილისში გამოდის 9 ს. 05 წ. საღ., თბილისში მოდის 9. 45 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 11 ს. 32 წ., ბაქოში მიდის დილის 6 ს. 15 წ.

მატარებელი № 5 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 3 ს. 25 წ., ბორჯომში მიდის 8 ს. 23 წ. საღ.

მატარებელი № 6 ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 8 ს. 20 წ. დილ., თბილისში მოდის დღისით 12 ს. 55 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 5 ს. 02 წ., მეორე—დღის **12** ს. 40 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 30 წ., ფოთში მიდის—პირველი 7 საათ. 12 წ. დილით, რე—**2** ს. 49 წ. დღ. და მესამე ს 6[4]—ეოში9 წ. საღ.

**ფოთიდან** მსატრედიაში გადის სამი მატარებელი: პირველი—ღამის 1 ს. 11 წ., მეორე—დილის 6 ს. 20 წ., მესამე—საღ. 9 ს. 48 წ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს. 20 წ. ღამის, მეორე—8 ს. 42 წ. დილის, მესამე—ღამის 11 ს. 57 წ.

ფოთიდან რიონში გადის დილის 6 ს. 20 წ., რიონში ფოთიდან მიდის დილის 6 ს. 45 წ.

**რიონიდგან** ქუთაისში გადის შვიდი მატარებელი: ღამის 3 ს. 55 წ., და 5 ს. 30 წ. დღის 1 ს. 30 და 4 ს. 50 წ., საღამოს 6 ს. 30 წ. დილის 8 ს. 45 წ. და 10 საათ.

**ქუთაისიდგან** რიონში მიდის ღამის 12 ს. 55 წ., და 4 ს. 40 წ. დღისით 12 30 წ., 3 ს. 50 წ., და 5 ს. 30 წ.,

**შორაპნიდან** ჭიათურაში გადის დღეში ორი სახალხო საქონლის მატარებელი. პირველი გადის დილის 6 ს. 50 წ., მეორე 5 ს. 15 წ. დღისით

**ჭიათურაში** მიდის პირველი—დილის 9 ს. 42 წ. მეორე—საღამოს 8 ს. 07 წ.,

**ჭიათურიდგან** შორაპანში გადის ორი მატარებელი: პირველი 1 სე 40 წ. დღისა, მეორე—საღამოს 11 ს. 15 წ. შორაპანში მიდის—პირველი დღისით 4 ს. 31 წ. მეორეღამის—2 ს. 05 წ.

**მიხაილოვიდგან** სურამში გადის დღეში ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 12 ს. 03 წ., მეორე დილის 6 ს. 25 წ., მესამე,—დღის 1 ს. 5 წ. და მეოთხე საღამოს 7 ს. 18 წ.

სურამში ყველა ეს მატარებლები 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**სურამიდგან** მიხაილოვში გადის ოთხი მატარებელი. პირველი ღამის 5 ს. 08 წ., მეორე დილის 11 ს. 48 წ., მესამე დღის 4 ს. 40 წ., მეოთხე—საღამოს 10 ს. 50 წ.

მიხაილოვში 12 წ. განმავლობაში მიდიან.

**ქუთაისიდგან** ტყიბულში გადის ღამის 6 ს. 50 წ. ტყიბულაში ჩადის 10 ს. დილისა.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლადა სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა კრეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პაკვდონიმი) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: | |
| I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუვე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| გაბრიელ ეპისკოპოსის ბიოგრაფია სურათით | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.



ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში იყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი **I** საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე. | 75 „ |
| ნაწილი **II** სამშობლოს განსაცდელი. | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი **III** წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი **IV** მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

**პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება**


გამომც. ზ. გუნია.